



სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
წარმომადგენლობითი საბჭო (სენატი)

დადგენილება № 01-06-02/01

ქ. თბილისი


14 თებერვალი 2018წ.

სტუ-ის ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტთან ბიონანოკერამიკისა და ნანოკომპოზიტების ტექნოლოგიის ინსტიტუტის შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-11 მუხლის, სტუ-ის აკადემიური საბჭოს 2017 წლის 27 დეკემბრის № 2681 დადგენილებისა და წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) 2018 წლის 14 თებერვლის №1 ოქმის საფუძველზე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითმა საბჭომ (სენატი) დაადგინა:

1. სტუ-ის ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტთან შეიქმნას „ბიონანოკერამიკისა და ნანოკომპოზიტების ტექნოლოგიის ინსტიტუტი“ და დამტკიცდეს მისი დებულება;
2. ინსტიტუტის პერსონალის შრომითი ანაზღაურება განისაზღვრება ფაკულტეტის საბჭოს მიერ განსაზღვრული ინსტიტუტის დირექტორის 0.5 სამშაბო ერთეულისაგან (პროფესორის თვიური ხელფასის ნახევარი) შემდგარი ბიუჯეტით და მისი დებულებით განსაზღვრული სხვა შემოსავლების გათვალისწინებით;
3. ინსტიტუტის დირექტორის თანამდებობაზე დაინიშნოს პროფესორი ზვიად კოვზირიძე;
4. დაევალოს ინსტიტუტის დირექტორს დააკომპლექტოს ინსტიტუტის პერსონალი თვითდაფინანსების პრინციპით, ანაზღაურების გარეშე, ტექნიკური უნივერსიტეტის, სხვა უნივერსიტეტების, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების და უწყებების თანამშრომლებისგან;
5. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ., №6.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი)
სპიკერი, პროფესორი


ჯემალ გახოვიძე